პროლეტარელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქვირა, 16 იანვარი, 1944 წ. № 12 (6906). ფასი 20 კაპ.

მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინება

„პრავდის“ მოწინავე — 14 იანვარი

საბჭოთა წყობილებამ გამოააშკარავა ხალხურ ტალანტთა უმდიდრესი წყარო. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები უხვად იჩენენ ინიციატივას, მეხვედრიობას, გამჭრიახობას, ამდიდრებენ სოციალისტური შენებლობის გამოცდილებასა და მრეკტიკას. მოწინავე ადამიანთა ინიციატივა ხშირად გადაიზრდება ხოლმე მასობრივ მოძრაობად წარმოების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ხალხის ინიციატივა განსაკუთრებით ნაყოფიერ აშკარავდება სამამულო ომის დღეებში. ამხანაგ სტალინის მიერ მიცემული მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა ზურგის მუშაკნი ეძებენ და კიდევაც პოულობენ მრავალ გზასა და საშუალებას ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად. თითოეული ორი კაცის—სამი კაცის მაგივრად მუშაობს, მუშები მრავალდაზგისნები ხდებიან, ეუფლიან წარმოების რაციონალიზაციას, გამომგონებლობას, ზოგავენ ნედლეულს, სათბობსა და მასალებს.

ასეთი ფრონტული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების თაოსნობა, რომელნიც მუშების უფრო ნაკლები რაოდენობით უფრო მეტ პროდუქციას იძლევიან, დღითი დღე უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. მრეწველობის მთელი რიგი დარგების — საშუალო მანქანათმშენებლობის, საავიაციო მრეწველობის, საჟურველის მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ბრიგადირთა სრულიად-საკავშირო თათბირები გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის თაოსნობას, თუ წარმოების შემდგომი ახალი ზრდის რა უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვება ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ერთ-ერთი გამოვლინება ინიციატივისა, რომელიც აშკარავდა მრეწველობის მიერ გამოუყენებელ საწარმოო და შრომითს რეზერვებს, არის შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება, რაც ბევრ ფაბრიკა-ქარხნებში და შახტებში ტარდება.

საზოგადოებრივი დათვალიერების წამომწყები არიან პეტროკომუნარალსკის ლენინის ორდენოსანი ნოვოტრუბნი ქარხნის მეტალურგები. აქ 30 ბრიგადამ, რომლებიც შესდგებოდა ინჟინრების, ოსტატების, სახანოველებისა და დამკვრელებისაგან, შეადგინა, წმინდად არიან თუ არა განაწილებული მუშები, შეისწავლა პროფესიების ფეთვისების, მრავალ დაზგათა და მრავალ აგრეგატთა მომსახურების შესაძლებლობა, დასახა უბნები, სადაც უნდა განხორციელდეს მცირე მექანიზაცია, მამაკაცის შრომა შეეცვალოს ქალის შრომით და სხვ. დათვალიერების შედეგად ქარხნის ხელმძღვანელებმა რეალიზაცია უყვეს მთელ რიგ ძვირფას წინადადებებს, რომელნიც აუმჯობესებენ წარმოების ორგანიზაციას, გაათავისუფლეს ათობით მუშა, რომლებიც გადაყვანილი არიან მუშაობის სხვა უბნებზე.

მას შემდეგ—გასული წლის ზაფხულის შემდეგ — პეტროკომუნარალსკელთა ინიციატივას ბევრი საწარმოს კოლექტივები გამოეხმაურნენ. საზოგადოებრივი დათვალიერება მოეწყო მაგნიტოგორსკის, ალაპაევსკის, ლისვინა და სხვა მეტალურგიულ ქარხნებში, ვისოკაია გორას მაღაროში, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ საკისრის ქარხანაში, მთელ რიგ საწარმოებში, რომელნიც ამზადებენ საომარ მასალას, საჟურველს, ტანკებს, მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში. ყველგან შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივმა დათვალიერებამ, რაც ფართო მასების მონაწილეობით წარმოებდა, მეტად ძვირფასი შედეგები მოგვცა.

ამას წინათ „პრავდაში“ გამოქვეყნდა „ურალმაშზავოდის“ დირექტორ ბ. მუხოუკოვის სტატია. მასში მოთხრობილი იყო „ურალმაშზავოდში“ ჩატარებული საზოგადოებრივი დათვალიერების ზოგიერთ შედეგთა შესახებ. დათვალიერებაში მონაწილეობას იღებდა 5 ათასზე მეტი მუშა, ოსტატი, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე. შეგროვდა 1.130 რაციონალიზატორული და გამომგონებელთა წინადადება. დათვალიერების შედეგად განთავისუფლდა 1.800 დამხმარე მუშა, რომლებიც ამჟამად გადაყვანილი არიან წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებზე. 300-მა მუშამ ორ-ორი პროფესია შეითავსა, 200 მუშა მრავალ დაზგას უწევს მომსახურებას. იმატა შრომის ნაყოფიერებამ. ასობით რეალიზებულმა წინადადებამ მრავალი მილიონი დაუზოგა ქარხანას.

სტატკომ მრეწველობის მარტო რვა საწარმოში, სადაც მოეწყო საზოგადოებრივი დათვალიერება, შეტანილია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიის სრულყოფისაკენ მიმართული 15 ათასამდე რაციონალიზატორული წინადადება. კიროვის ქარხანაში 136 რაციონალიზატორულმა წინადადებამ, რაც ნოემბერში განხორციელდა, საშუალება მოგვცა დაგვეზოგა ორ მილიონამდე მანეთი, 200 ტონა ლითონი, 400 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1.200 სახეხი რგოლი, 157 ტონა კოქსი.

იქ, სადაც უკვე დამთავრდა საზოგადოებრივი დათვალიერება, საჭიროა მივაღწიოთ ყველა ძვირფასი წინადადების სრულ განხორციელებას, რა თქმა უნდა, უფრო მაღლდეს შრომის ნაყოფიერება, შუამათ უფრო ნაკლები რაოდენობით მივიღოთ უფრო მეტი პროდუქცია. ზოგიერთ ქარხანაში დათვალიერების დღეებში შეტანილი წინადადებები ნელა ხორციელდება. მაგალითად, კიროვის ქარხანაში დათვალიერების დროს შეტანილი იქნა 4.690 წინადადება. რეალიზებული კი იყო სულ ამ ციტატნის წინათ 1.000-ზე ნაკლები. ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. მაქსარიოვი, 2.729 წინადადებიდან რეალიზებულია მხოლოდ რამდენიმე ასეული. ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. ნოვოსიოლოვი, 420 წინადადებიდან მხოლოდ 25 განხორციელდა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დათვალიერება ფუჭ წამოწყებად გადაიქცევა, თუ მან პრაქტიკულ შედეგებს ვერ მიაღწია, ე. ი. თუ დათვალიერების შემდეგ ქარხანა ან ფაბრიკა ვერ მიაღწევს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას, არ გადიდებს პროდუქციის გამოშვებას, წინანდელი დონით განაგრძობს მუშაობას.

საჭიროა, რომ შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება მოეწყოს არა მარტო საწარმოო, არამედ დამხმარე სამეურნეოებშიც: ქარხნის, ფაბრიკის, მაღაროს, შახტის ყოველ კუნჭულში უნდა შეკამოწმოთ, რამდენად მიზანშეწონილად იყენებენ მუშის შრომას, რა და რა გზით შეიძლება ტექნოლოგიის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მეტი პროდუქციის გამოშვება.

დათვალიერების ინიციატორები პროფკავშირული ორგანიზაციები იყვნენ. მაგრამ დათვალიერების წარმატებით დაინტერესებული არიან პარტიული ორგანიზაციებიც, სამეურნეო ხელმძღვანელებიც. იქ, სადაც დათვალიერებას წინ უძღვის ნამდვილი მეთაობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ტარდება გულმოდგინე ორგანიზაციული მომზადება, ფართოდ იყენებენ კედლისა და საქარხნო გაზეთებს, რადიოს, მუშათა საწარმოო თათბირებს, სადაც პარტიული ორგანიზაციები უშუალო მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში,—იქ ყველგან, როგორც წესი, საზოგადოებრივ დათვალიერებას სარგებლობა მოაქვს.

ბრძოლა საზოგადოებრივი დათვალიერების ქმედითობისათვის უცილობელი პირობაა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დასახული მიზნის მიღწევა. იმ საწარმოებში, სადაც დათვალიერება მეწყობა, პირველი დღეებიდანვე ფართოდ უნდა გავაცნოთ მასებს იმ მუშების, ინჟინრების, ოსტატებისა და მოსამსახურეთა სახელი, რომლებმაც შემოიტანეს წარმოების გასაუმჯობესებელი წინადადებანი, უნდა ვაცნობოთ, როდის და რამდენად იქნა რეალიზებული ეს წინადადებები, ამასთან, რა დადებითი შედეგია მიღწეული.

შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივ დათვალიერებაში მეღავნდება ზურგის მუშაკთა მისწრაფება—გაადიდონ შრომის ნაყოფიერება—სამხედრო ტექნიკის, ლითონის, სათბობის, ელექტროენერგიის გამოშვების გადიდების მთავარი და უცილობელი პირობა, რაც შეიძლება მეტი ძალა-ღონე მოანდომონ ფრონტისათვის დახმარების გაწევას.

ახალი, 1944 წლის პირველი დღეები სამამულო ომის ფრონტებიდან მიღებული სასიხარულო ამბებით აღინიშნა. გმირი წითელი არმია განაგრძობს თავის ძლევამოსილ შეტევას. საბჭოთა ზურგი უპატაკებს საწარმოო გამარჯვებათა შესახებ. ყოველივე ეს ახალ ენერგიას, ახალ ძალებს მატებს საბჭოთა ადამიანებს, რაზმავს მათ ახალ-ახალი გმირობის ჩასადენად გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა სრული განადგურებისათვის.

ბრძანებუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ გაგრის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოების გადარჩენის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და

გაგრის რაიონის სოფელ ხრისტოფოროვოს ეწოდოს სოფელი ბაღნარი და ხრისტოფოროვოს სასოფლო საბჭოს — ბაღნარის სასოფლო საბჭო; სოხუმის რაიონის სოფელ კონსტანტინოვკას — სოფელი ოდიში და კონსტანტინოვკის სასოფლო საბჭოს — ოდიშის სასოფლო საბჭო, იმავე რაიონის სოფელ ანდრეევკას — სოფელი ახალშენი და ანდრეევკის სასოფლო საბჭოს — ახალშენის სასოფლო საბჭო; გულრიფშის რაიონის სოფელ ზახაროვკას — სოფელი ხევი და ზახაროვკის სასოფლო საბჭოს — ხევის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

15 იანვარი, 1944 წელი. ქ. თბილისი.

ურუგვაის დესპანის დანიშვნა სსრ კავშირში

ნიუ-იორკი, 13 იანვარი (საკდესი). როიტერ იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მონტევიდეოდან იუწყება, ურუგვაის პრეზიდენტმა ამჟამად საბჭოთა კავშირში დესპანად დანიშნა ფრუგონი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 იანვრის ოპერაციული ცნობა

15 იანვრის განმავლობაში ** კალინკოვიჩის** დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და განდევნეს მოწინააღმდეგე რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

ვინიცის აღმოსავლეთით და **უმანის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

14 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 111 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 42 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ კალინკოვიჩის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. უკანასკნელ დღეებში მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვდა და დღეს იგი ცდილობდა საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ გადაეჯგუფებინა და წესრიგში მოეყვანა თავისი ძალები. 6 შენიაროთის მებრძოლები მტერს გორს მოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ, განუწყვეტლივ ურტყამდნენ გერმანელებს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ერთ რაიონში საბჭოთა კავალერისტები მოწინააღმდეგის ზურგში გაიჭრნენ და განადგურეს ჰიტლერელთა კოლონა. ჩვენმა ჯარებმა ერთი დღის ბრძოლებში მოსპეს 1.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს 16 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წაავართვეს 28 ქვემეხი, 3 საწყობი საომარ მასალიანად, ნივთსაწყობი, 40 სარკინიგზო ვაგონი, 200 საზიდარი ტვირთიანად და სხვა დაავლა.

საბჭოთა ავიაციამ აქტიურად უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების მოქმედებას. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი.

* * *

ვინიცის აღმოსავლეთით და **უმანის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გაფრთხილებულ ბრძოლებს. მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდმა ძალებმა კონტრიერიშები მოიტანეს 6 შენიაროთის ნაწილთა წინააღმდეგ. უდიდესი ზარალის მიუხედავად, ჰიტლერელები წინ მოძვრებოდნენ და ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ გაეჭრვინათ საბჭოთა თავდაცვა. ჩვენმა ჯარებმა მარლანი ცეცხლითი ფარდა შეაქნეს, გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგის მოწოლას და აიძულეს იგი უკან დაეხია საწყის ზღვრებზე. მალე გერმანელებმა გადააჯგუფეს თავიანთი ძალები და კვლავ გადმოვიდნენ იერიშზე, მაგრამ ამჯერადაც ვერ მიაღწიეს წარმატებას. მტრის ტანკების მცირე ჯგუფი, რომელიც ერთ დასახლებულ პუნქტთან გამოიჭრა, მოსპობილ იქნა ჩასაფრებული ჩვენი ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების მიერ. ღლის განმავლობაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 70 ტანკი. 11 თვითმავალი ქვემეხი და 16 ჯავშნატრანსპორტიორი. მოსპობილია მოწინააღმდეგის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

შავ ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ორი სწრაფმავალი საფეხსტო კარჭაპი.

* * *

წითელი არმიის 24 წლისთავის სახელობის, ვოროშილოვის სახელობისა და ბუდიონის სახელობის პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც როვნოს ოლქში მოქმედებენ, უეცრად დაარტყეს უკანდახეულ გერმანელებს. პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. საბჭოთა პატრიოტებმა გათავისუფლეს ათასობით საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები მიერეკებოდნენ გერმანიის კატორღაში.

* * *

გერმანიის 79-ე ქვეითი დივიზიის 208-ე პოლკის ეფრეიტორმა, წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა ჰანს ჰაპ განაცხადა: „ჩვენმა დივიზიამ უმძიმესი დამარცხება განიცადა. ორი პოლკი—226-ე და 212-ე მოსპობილ იქნა, ხოლო მათი ალაები რუსებს ჩაუვარდა ხელში. დიდი ზარალი მოუვიდა 208-ე პოლკსაც. მის შემადგენლობაში დარჩა 200 კაცისაგან შემდგარი ბატალიონი. გარდა ამისა, დივიზიის არასამწყობრო რაზმებისა და ალაების ჯარისკაცთაგან შეკრებილი „მებრძოლი ჯგუფი“, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ვინდე. ეს იყო ყველაფერი, რაც კი დივიზიას მოეპოვებოდა. უკანასკნელ ბრძოლაში რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს „მებრძოლი ჯგუფის“ ყველა ჯარისკაცი. განადგურებულ იქნა ფრონტზე ახლად მოსული ხამარშო ბატალიონიც, რომელიც დაკომპლექტებული იყო ტოტალური მობილიზაციით გაწვეული ჯარისკაცებით. მათ სამხედრო საქმე ცუდად აქვთ შესწავლილი და არა სურთ იომონ. ახლა მეელ 79-ე დივიზიაში ორი სალაშქრო ამბარეულიდან იკვებება. ყოველივე იმის შედეგ, რაც მე რუსეთში ვნახე და განვიცადე, მივვდი, რომ გერმანიამ ომი წააგო. გადაწყვიტე, რომ ბრძოლის განგრძობა უაზრო, და რუსების მხარეზე გადმოვედი“.

* * *

კალინინის ოლქის სოფელ ელოვკის მცხოვრებლებმა ანასტასია ფროლოვამ და ეკატერინე გორიაჩევამ გეშიშეს გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების ხოცვა-ყლეტის შესახებ: „1943 წლის 7 ნოემბრის საღამოს სოფელ ელოვკაში მოვიდა გერმანელთა სადამსჯელო რაზმი. ჰიტლერელები გარს შემოერტყნენ სოფელს, შეიპყრეს 30 კაცი და დროთა ფროლოვის სახლში შეიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა გერმანელმა დაიყვირა: „გამომდით ორ-ორი კაცი!“ პირველი გამოვიდა მოხუცი დროთა ფროლოვი. ჩვენს თვალწინ გერმანელებმა იგი ავტომატით მოკლეს. ფროლოვის შემდეგ გამოვიდნენ 17 წლის ეგორენა ფალდი და 16 წლის ვალენტინა სტუდიონოვა. ისინიც დახვრიტეს გერმანელებმა. ამის შემდეგ გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს სახლს, ხოლო ფანჯრებს ავტომატები დაუშინეს. ცეცხლში დაიფუტნენ: ივანე ფროლოვი—13 წლისა, ვერა ფალდი—22 წლისა, ლუბა ფალდი—16 წლისა, ვალენტინა ფალდი—6 წლისა, თაკლე ფროლოვა—30 წლისა, გალინა ფროლოვა—2 წლისა, ალექსანდრა ფროლოვა—22 წლისა, ნადეჟდა ფროლოვა—6 წლისა და სოფლის სხვა მცხოვრებნი“.

მზადება ლენინის დღეებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე შეუდგა მზადებას. უნივერსიტეტის აგიტკოლექტივმა აგიტატორებთან ჩაატარა სპეციალური თათბირი და მისცა მათ თემატიკა, თუ როგორ უნდა წარმართონ როგორც უნივერსიტეტში, ისე ყოფილ საარჩევნო უბანში საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოეწყობა გამოფენა — 20 წელი ულენინოდ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. 18 იანვრამდე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ჩატარდება სპეციალური მოხსენებები და ლექციები ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო, რისთვისაც უკვე გამოყოფილი არიან მოხსენებლები. მოეწყობა აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კრება, რომელზე რეკტორი აკადემიკოსი ა. ჯანელიძე გააკეთებს მოხსენებას — 20 წელი ულენინოდ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

25 იანვარს დანიშნულია მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის საჯარო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 20 წლისთავადმი. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს კათედრის გამგე ამხ. ი. თავაძე. მოხსენებებით გამოვლენ დოცენტები ხომინდურავი, ასათიანი და სხვ.

თბილისის საქალაქო პარტკაბინეტში

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო კეცხოველის სახელობის თბილისის საქალაქო პარტკაბინეტში 17 იანვარს შესდგება ჯგუფური კონსულტაციები აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე. საქალაქო პარტკაბინეტი ასეთასავე კონსულტაციას ჩაატარებს კიროვის სახელობის და ლენინის სახელობის რაიკომების პარტკაბინეტებში და სხვ.

16 იანვარს კეცხოველის სახლში გაიხსნება ვამოფენა ლენინის შრომებისა და ლიტერატურისა ლენინზე, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობებისა ლენინის ნაწარმოებთა შესახებ. გახსნილია გამოფენა თემაზე — „ვ. ი. ლენინი სამშობლოს დაცვის შესახებ“. ქალაქის მსხვილ საწარმოებში მოეწყობა მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მომხსენებლებად თბილისის კომიტეტის მიერ გამოყოფილი არიან კვალიფიციური ლექტორები.

19 იანვარს საქალაქო პარტკაბინეტში მოეწყობა ლექცია თემაზე — „ვ. ი. ლენინი კაცობრიობის უდიდესი გენია“. უკვე რამდენიმე დღეა აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საუბრები და მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თემაზე: „20 წელი ულენინოდ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“.

საბჭოთა კავშირში

ლენინის დღეების წინ

მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მზადება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისათვის.

ლენინგრადის კულტურის სახლებში, საწარმოთა წითელ კუთხეებში ახსნება ვ. ი. ლენინის ხსოვნის გამოფენები. წიგნის დიდ გამოფენას აწყობს ვ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

პირველი სპექტაკლი მუზეალურ ქალაქში

ა. კორნეიჩუკის პიესა „ბოგდან ხმელნიცკი“ გახსნა 1944 წლის ხებონი ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ხარკოვის უკრაინული დრამატიულმა თეატრმა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა უზბეკეთიდან.

ბალხით გაეცალა საყურადღებო დარბაზი გულთბილად მიესალმა შევჩენკოელებს.

ხუთასი სასადილო დონბასის მაღაროელებისათვის

დონეცის აუზში იზრდება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი. კომბინატების „სტალინეგოლის“, „როსტოვუგოლის“, „ვოროშილოვგრადუგოლის“ მუშათა მომარაგების განყოფილებებმა უკვე მოაწყეს 500-ზე მეტი სასადილო, რომლებშიც მაღაროელთა 70-75 პროცენტი იკვებება.

სასადილოებთან ეწყობა ბაღრეები 1.500 სული ლორსათვის და 100 სასოკოე ქათმის მოსაყვანად.

წიგნები და გაზეთები განთავისუფლებული რაიონებისათვის

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებან განთავისუფლებულ ყველა რაიონში აღდგენილია „სოიუზპეჩატის“ დაწესებულებათა ქსელი. კიევში გახსნილია 40 კიოსკი, ხარკოვში—32. უკანასკნელ თვეებში თვითმფრინავებმა იქ სამ მილიონზე მეტი ცალი წიგნი მიიტანეს.

ბუნდოვანი სიტყვის გავრცელების ცენტრალურმა სამმართველომ კიევსა, ხარკოვსა, სტალინოსა და სხვა ქალაქებში ოთხ მილიონზე მეტი წიგნი და ბროშურა გაგზავნა. (საკდესი).

მენვრილმანეები თავდაცვის წინა კიდეზე

ლენინგრადის ფრონტი, 15 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.). კამკაში რაკეტები აშუქებენ ფაშისტ ტაფობს, რომელიც ჩვენი თავდაცვის წინა კიდესთან მდებარეობს. სატანკო თოვლზე შავად მოსჩანს ბატარა ფიგურა, რომელიც ხან ოხვთით, ხანაც გაღმორბენით მოიწევს წინ.

ქენია ეგოროვა სულ უფრო უახლოვდება სანგრებს. ზურგზე ჰკიდია გატენილი სანივთო ჩანთა, ხელში კი ჩემოდანი უკავია. ზუზუნებენ ყუმბარები, შიშინით მოჭრიან ნაღმები.

განთიადისას ქენია მახლობელ მიწურს მოაწწევს. აქ მას უკვე ელოდებიან. მებრძოლები გარს ეხვევიან ქალაშვილს. იღება ჩემოდანი, რომელიც სავსეა სხვადასხვანაირი წივთებით, რაც ფრონტელს ესაჭიროება: თამბაქო და ასანთი, ქაღალდი და კონვერტები, ნემსები, ძაფი, სამართებლის პირები, ბენზინასანთი და კაჟი, წიგნები.

ყოველ დღე, ყოველნაირ ამინდში, თოფისა, ტყვიამფრქვევისა და ქვემეხების სროლაში დაიარებიან იმ სამხედრო ვაჭრობის ბაზის მეწვრილმანეები, რომლის უფროსიც არის უფროსი ლეიტენანტი სოკოლოვი. მათ წინა კიდეზე მოაქვთ სხვადასხვანაირი საქონელი, ჩამოუვლიან მიწურებს, ბლინდაჟებს და სანგრებს. ორჯერ იყო დაჭრილი მეწვრილმანე ტონია არშინოვა, ნაღმის ნამსხვრევმა იმსხვერპლა ქენია ეგოროვა, მაგრამ საფრთხე ვერ აკავებს მაინც ქალაშვილებს.

სარდლობამ მეწვრილმანეები ელისაბედ სტეპანოვა, ლია ლევინა და ტონია არშინოვა დაჯილდოდა მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

მოგებათა ფირაქები

15 იანვარს მოსკოვში შესდგა მოგებათა ორი ტირაჟი: მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) 30-ე ტირაჟი და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის 25-ე ტირაჟი.

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ტირაჟში გათამაშებულია 273.920 ათასი მანეთის 1.670 ათასი მოგება. 3.000-მანეთიანი მოგება ხვდა 10469 სერიის № 01 ობლიგაციას.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ტირაჟში გათამაშებულია 67.818.800 მანეთის 410.750 მოგება. 3.000-მანეთიანი მოგება ხვდა 20762 სერიის № 13 ობლიგაციას. (საკდესი).

არმიის გენერალ როკოსოვსკის ჯარების დიდი გამარჯვება

მოსკოვი, არმია, 14 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.). **სულ უფრო და უფრო შორს მიდიან დასავლეთისაკენ არმიის გენერალ როკოსოვსკის ჯარები ბელორუსიის ტყეებითა და ჭაობებით. ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებში კვლავ ფრიალებს ძლეულამოსილი წითელი დროშები, რაც მტრის საბოლოო განადგურების ჟამის მოახლოებას მოასწავებს. ილაჯგამწყვეტილი მოსახლეობა, რომელიც მრავალი თვის განმავლობაში იტანჯებოდა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა უღელ ქვეშ, აღფრთოვანებით ეგებება თავის განმთავისუფლებელთ — წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს.**

საუკუნოვანი ეღრანი ტყეები, გაუვალი ჭაობები, რომლებიც სუსხიანი ყინვის დროსაც კი არ იყინება, — ასეთია საომარი მოქმედების ასპარეზი, სადაც ჩვენი ჯარები გაგიფრიბულ ბრძოლას ეწევიან დღეს მშობლიური ბელორუსიის გასათავისუფლებლად. ამ პირობებში კომუნიკაციებს, რომლებითაც დასერილია ტყის მასივები, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ კომუნიკაციებისათვის დიდი ბრძოლებია გაჩაღებული.

გერმანელთა თავდაცვის სისტემაში რკინიგზებისა და გზატკეცილთა კალინკოვიჩისა და მოზირის კვანძები პირველხარისხოვან როლს ასრულებდნენ. აქედან მიდის რკინიგზას მაგისტრალები ჟლობინისა და გომელისაკენ, სამხრეთით ოვრუჩისა და კოროსტენისაკენ, დასავლეთით ლუნინეცისაკენ. ამ კომუნიკაციებით მოწინააღმდეგეს ჯადმოაყავდა თავისი ჯარები, გადმოჰქონდა ტექნიკა და საომარი მასალები.

**გერმანელებმა ყოველივე ღონისძიება იხმარეს კალინკოვიჩ-მოზირის დაჯგუფების გასამაგრებლად. მაგალითად, კალინკოვიჩის რაიონში, 12 კილომეტრ უბანზე მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდძალ ტყვიამფრქვევს, ს

მთავრობის მაღალ ჯილდოს საქართველოს კოლმეურნეები ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით უპასუხებენ

ახალი ვალდებულებანი

ზესტაფონის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეების, კოლმეურნე ქალების და სოფლის მეურნეობის მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ხიდაშელმა, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“. მან განაცხადა: პირობას ვაძლევ ჩვენს საყვარელ ბელადს, ჩვენი გამარჯვების სულისამდგმელს დიდ სტალინს, რომ მინდინარე წელს კიდევ უფრო მეტ სოფლათს მივცემთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს, მთლიანად, გადამეტებით და მაღალხარისხოვნად შევასრულებთ 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე მერგოლურმა ფ. კობახიძემ, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“, განაცხადა: მთავრობის ეს მაღალი ჯილდო მავალებს, რომ კიდევ მეტი თავდადებით ვიმუშაო საკოლმეურნეო მინდვრებში, მეტი დახმარება გავუწიო გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში. პირობას ვიძლევი, რომ არ დავზოგავ ჩემს ენერგიას მინდინარე სამეურნეო წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

კვალითის სასოფლო-საბჭოში შეხვედრამ კოლმეურნეობებმა ჯილდოს საპასუხოდ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომ 1944 წელს მიაღწევენ მოსავლიანობის გადიდებას, გადაჭარბებით შეასრულებენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებს, საუკეთესოდ მოემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. მოხუცმა კოლმეურნეებმა პეტრე მარაქველიძემ, სანდრო ბიწაძემ, გრიგოლ სვანიშვილმა, სონია გაბრიელიძემ, ა. ჯანიაშვილმა, ა. გოგოლაძემ, ა. ვარდოსანიძემ განაცხადეს, რომ საწარმოო დავალებებს 120-150 პროცენტით შეასრულებენ და მეტ დახმარებას გაუწევენ გმირ წითელ არმიას. შროშის სასოფლო-საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულებანი, რომ 1944 წელს 10 ჰექტარით გაადიდებენ ნათეს ფართობებს, თავდაცვის ფონდისათვის დასთესენ 6 ჰექტარს, გეგმის გადამეტებით გაზრდიან 10 სულს მსხვილფეხა რქოვან პირუტყვს, 17 სულ თხასა და ცხვარს.

მთავრობის მაღალ ჯილდოს, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან ერთად ზესტაფონის რაიონიდან 5 ამხანაგმა მიიღო, რაიონის მშრომელები უპასუხებენ ახალი წარმატებებით. ზესტაფონის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს, უპასუხებენ თავდადებული შრომით, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებით.

ვ. ლოლრთქიფანიძე

ხაქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი.

სამშობლოს ჯილდოს პასუხად

ზუგდიდი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). სოფ. ჭალვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი სიხარულით შეხვდნენ მათი სახელოვანი თავმჯდომარის ალექსანდრე ჯიქიას ლენინის ორდენით დაჯილდოებას და ამის პასუხად ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ამბ. ალ. ჯიქიამ განაცხადა:

— განუზომელი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ჩემი მუშაობის ასეთმა მაღალმა შეფასებამ. ლენინის ორდენით დაჯილდებაა ვუპასუხებ ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებით. ჯილდოს პასუხად ვიმუშავებ მეტი ძალ-ღონით საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. პირობას ვიძლევი, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იქნება!

სოფ. ჭალვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 300.000 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280.000 კილოგრამისა... გადაჭარბებით არის შესრულებული ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმაც, 41 ათასი კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 80 ათასი კილოგრამი ტუნგოს ნაყოფი. კოლმეურნეობამ თვალსაჩინო გადამეტებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები.

კოლმეურნეობის შემოსავალმა 1943 წელს 3 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კოლმეურნეებმა ერთსულოვანი აღფრთოვანებით გაიღეს თავიანთი წვლილი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. სატანკო კოლონის ასაშენებლად შარშან მათ შეიტანეს 500.000 მანეთი, საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიისთვის—100.000 მანეთი, 1 მილიონ მანეთს მიაღწია 1943 წლის სახელმწიფო სესხზე ხელმოწერამ, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გავრცელებამ.

კოლმეურნეობამ ბევრი რამ გააკეთა ფრონტისა და სამშობლოს დასახმარებლად, დიდი სტალინის მიერ მოცემულ ბრძანებათა შესასრულებლად.

მაგრამ ჭალვინჯელებმა იციან, რომ მიღწეული წარმატებით დაკმაყოფილება რიდი შეიძლება. მაღალი ჯილდო უფრო მეტს ავალებს მათ! და აი სწორედ ამის შედეგია სოფ. ჭალვინჯის კოლმეურნეობაში რომ ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების პასუხად დღიურ დავალებებს ერთი სამად და ერთი ოთხად ასრულებენ ბრიგადები, რომელთაც გერასიმე ჩუხუა, იონა ტიბუა, დავით ხუნჯუა, სერგასიონ ნარსია, თომა ნარსია ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეები — ცხუცხუ ჩუხუა, ჯოტო ჩუხუა, ლიდია ფარჯიკია, ჯტო ტიბუა, კონსტანტინე ტიბუა, ვარლამ სიჭინავა და სხვები 400-500 პროცენტით ასრულებენ დღიურ დავალებებს.

ასე ემსახურება ფრონტს სოფელ ჭალვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი ამბ. ალექსანდრე ჯიქია.

ხ. ბერულავა

აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

ცხაკაია („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). რაიონის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოებას. ცხაკაის რაიონიდან ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 7 კაცი. რაიონის კოლმეურნეობებში ჩატარდა მიტინგები. სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე მერგოლურმა ბაგრატ გვიჩიამ, რომელიც დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, განაცხადა: მთავრობის საპატიო ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო თავდადებულად ვიმუშავებ. ჩვენმა რგოლმა გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი სიმინდი მოიწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა. ვალდებულებას ვკისრულობ მიმდინარე წელს თითოეულ ჰექტარზე 27 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იასონ ფოჩხუამ განაცხადა: მიმდინარე წელს მეცხოველეობის პოდუქტიულობას ვაკრიდით 30 პროცენტით, თავდაცვის ფონდში დავთესავთ 30 ჰექტარს.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის ბრიგადირმა გიგო ძაგანიამ, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, იკისრა ღორების ნამატი 100 პროცენტით შეინარჩუნოს, თითოეული დედა-ღორიდან 8 გოჭი მიიღოს, ზუსტად დაიცვას ზოოვეტწესები.

სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს სოფლის მეურნეობის მუშაკები უპასუხებენ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით.

ს. კუჭავა

მაღალი ჯილდოს პასუხად

გურჯაანი (საქდესი). უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ გურჯაანის რაიონის კოლმეურნეები ცნობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ.

რაიონის კოლმეურნეობებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები და მიტინგები, რომელნიც ჰიეძღვნა გურჯაანის რაიონის მთელ რიგ მუშაკთა დაჯილდოებას.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ თავმჯდომარე ა. ფხალაძე. სამამულო ომის განმავლობაში კოლმეურნეობამ ამხ. ფხალაძის ხელმძღვანელობით დიდ შედეგებს მიაღწია. კოლმეურნეობის მეცხვარეების ფერმას — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს — ჰყავდა 2.947 დედა-ცხვარი, სამამულო ომის განმავლობაში დედა-ცხვრის რაოდენობა აყვანილ იქნა 3.275 სულამდე, მაშინ როდესაც ცხვრის საერთო სულადობა შეადგენს 6.877 სულს.

შეასრულა რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმა, კოლმეურნეობამ ავანსად ჩააბარა 1944 წლის ხორცის ჩაბარების ანგარიშში 654 სული ცხვარი, 17 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. სახელმწიფო შესყიდვათა წესით კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 8 ტონა მარცვლეული, ხოლო კოლმეურნეებმა პირადი მარაგიდან მიჰყიდეს სახელმწიფოს 11 ტონა პური. „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარნის“ მეველახეობის ბრიგადის ბრიგადირი ამხ. ტ. შაკიაშვილი. განვლილ წელს კოლმეურნეობაში მიღებულ იქნა მარცვლეულის უხვი მოსავალი. კოლმეურნეებმა თითო ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 40 ცენტნერი სიმინდი. მიტინგზე გამოსულმა ამხ. შაკიაშვილმა პირობა მისცა დამსწრეთ, რომ ჯილდოს პასუხად მისი ბრიგადა ახალ წარმატებებს მიაღწევს უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში.

— თითოეული დამატებითი ტონა მარცვლეული, — განაცხადა მან, — დაეხმარება ჩვენს მამაც ჯარებს გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებაში.

მეთამბაქოეთა ახალი კადრები

მოსკოვი, 15 იანვარი (საქდესი). აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი 1944 წელს მნიშვნელოვნად ადიდებენ თამბაქოს და წიკოს სათეს ფართობს. კვალიფიციური კადრების საჭიროების დასაკმაყოფილებლად სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და სსრ კავშირის კვების ჯრეფველობის სახალხო კომისარიატი აწყობენ რაიონულ და საერაონთაშორისო სემინარებს.

აზერბაიჯანში მომზადებულ იქნება 250 ბერგოლური და ბრიგადირი, საქართველოში—150, სომხეთში—300.

მეცადინეობა იწარმოებს იანვარსა და თებერვალში მოქიანის სახელობის თამბაქოს დ. წეკოს მრეწველობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობით.

ეკონომიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეკალი

პროგრესიული პოლონელი მოღვაწეების გამოსვლები ა. შ. შეჯავშებში

ნიუ-იორკი, 10 იანვარი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). გაზეთ „ა. შ.“ კორესპონდენტთან ინტერვიუში პროფესორმა ზლოტოვსკიმ განაცხადა, რომ მიკოლაიჩიკის მოწოდება პოლონელთა არალეგალური წრეებისადმი — ნუ ითანამშრომლებთ წითელ არმიასთან, თვითმკვლელობაა პოლონეთის მთავრობისათვის და გავლენას ვერ მოახდენს პოლონელთა არალეგალურ წრეებზე, რადგან ამ წრეების მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობა ცდილობს მიაღწიოს შეგობრობისა და თანამშრომლობას წითელ არმიასთან და საბჭოთა კავშირთან. ალბათ, პოლონელი პარტიზანები თანაგრძნობით გამოეხმაურებიან პოლონელი პატრიოტების კავშირის პროგრამას, რაც გასულ კვირაში გამოქვეყნდა. ჯერ კიდევ ივლისში პოლონური გლეხური არალეგალური გაზეთი „პოლსკა ლიუდოვე“ აცხადებდა, რომ აუცილებელია პროსაბჭოთა პოლიტიკის გატარება. პოლონელ ხალხს დღემდე ძვირად უჯდება პოლონეთის ომამდელ მთავრობათა რეაქციული ანტისაბჭოთა პოლიტიკა და იგი არასოდეს არ მიიღებს ამგვარ პოლიტიკას, რა ნიღბითაც უნდა იყოს იგი დაფარული. პოლონელი მუშები და გლეხები საბჭოთა კავშირს უყურებენ, როგორც გერმანელთა უღლისაგან განმთავისუფლებელს. ისინი სთვლიან, რომ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული თანამშრომლობა პოლონეთის უშიშროების უზრუნველყოფისა და ევროპაში სანერძლივ მშვიდობიანობის დამყარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

პოლონეთის ახლანდელი მთავრობა, — გაგრძობს ზლოტოვსკი, — ხელმძღვანელობს ნახევრადფაშისტური იდეოლოგიით და სურს ჭართოს პოლონეთი ომის შემდეგ. პოლონელი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს მხოლოდ ომას, რომ ნაცისტებმა მოიგონ ზაი. პოლონეთის მთავრობა პასუხისმგებელია რეაქციული პოლიტიკისათვის, რომელიც პოლონეთში გაჩაღებულ არალეგალურ მოძრაობას სთარგეს ორ ბანაკად — მუშათა და გლეხთა დემოკრატიული ორგანიზაციების ბანაკად და რეაქციული ელემენტების ბანაკად, რომელშიც შედის ზოგიერთი გზაბნეული პოლონელი.

ნიუ-იორკი, 12 იანვარი (საკდესი). საზოგადოება „პოლონეთის ამერიკელი მეგობრების“ ხელმძღვანელმა, სოციალისტმა პენეიკმა გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც წინადადებას აძლევს პოლონელთა ლონდონის სოციალისტურ და გლეხურ ორგანიზაციებს სსრ კავშირში მყოფ პოლონელ პატრიოტთა კავშირთან და ა. შ. შტატების და სხვა ქვეყნების დემოკრატიულ პოლონურ ორგანიზაციებთან ერთად შეაქმნან პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, როგორც პოლონეთის დროებითი მთავრობა. ამ კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, შეუერთდეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებას, გასწმინდოს ახლა აღმოსავლეთში მყოფი პოლონელთა არმია გენერლების—სოსნკოვსკისა, კუკელისა და ანდერსისაგან, „ყველა სხვა ფაშისტური ელემენტებისაგან“ და გადაიყვანოს იგი საბჭოთა ფრონტზე, სადაც წითელ არმია პოლონელთა დივიზიებთან ერთად ეწევა ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ შემდეგ, რაც პოლონეთის ტერიტორია განთავისუფლებული იქნება, ხალხი წითელი არმია, პოლონეთის არმია და ნაციონალური კომიტეტი იქ დაამყარებენ შედარებითს წესრიგს,—ნაციონალური კომიტეტი შემოიღებს ახალ დემოკრატიულ საარჩევნო კანონს, რომელიც პოლონელებს შესაძლებლობას მისცემს აირჩიონ პარლამენტი. პარლამენტი მმართველობის გარკვეულ ფორმას დაამყარებს. მაშინ კომიტეტი მთელ თავის რწმუნებას და ფუნქციებს ახალ მთავრობას გადასცემს.

თუ ლონდონის სოციალისტური და გლეხური ორგანიზაციები პოზიცია გერმანელთა საოკუპაციო ჯარებთან პირობითი ომის პროპაგანდით. პოლონელი ხალხი განაგრძობს ულმობელ და უსასტიკეს ბრძოლას ნაციზმის წინააღმდეგ და მიესალმება წითელი არმიის, როგორც განმთავისუფლებელი არმიის, შესვლას“.

ევროპის საკონსულტაციო კომისიის სხდომა

ლონდონი, 14 იანვარი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, ლონდონში შესდგა პირველი ოფიციალური სხდომა ევროპის საკონსულტაციო კომისიისა, რომელიც შექმნილია სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ევროპის იმ საკითხების შესასწავლად, რაც ომის განვითარებიდან წამოიჭრებიან. სხდომას თავმჯდომარეობდა ა. შ. შტატების წარმომადგენელი ვაინანტი.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების საბრძოლო მოქმედება

შენევა, 15 იანვარი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, ჰიტლერელთა ჯარების შეტევა ცენტრალურ ბოსნიაში და ბანია-ლუკა—პრიედორის სექტორში წინანდელი ძალით გრძელდება. მრკონიჩ-გრადიაიცე-ბუგოინოს სექტორში, სადაც მტერი განსაკუთრებულად ძლიერ შეტევას აწარმოებს, სასტიკი ბრძოლები ხდება. ჰიტლერელებმა სლავონიიდან ბანია-ლუკასთან მდებარე ფრონტზე კიდევ ერთი დივიზია მოიყვანეს. მიუხედავად ძლიერი ყინვებისა, ბრძოლები დღე და ღამ სწარმოებს. ორივე მხარეს მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა ბრაუნშვეიგსა. მაგდებურგსა და ბერლინზე

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 14 იანვარს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს გერმანიის საავიაციო და მანქანათმშენებელი მრეწველობის ცენტრ ბრაუნშვეიგზე, რომელსაც დაახლოებით 2 ათასი ტონა ბომბი დააყარეს. ქალაქში დიდი ხანძრები გაჩნდა.

„მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მაგდებურგსა და ბერლინზე. ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს მტრის ობიექტები ჩრდილოეთ-საფრანგეთში და დანიაში. ორმოცი ინგლისური მებომბავი ინგლისში დაბრუნდა.

ჩეხოსლოვაკური გაზეთი წითელი არმიის ფრონტზე მებრძოლ პოლონელთა რეაქციული წრეების გამოხმაურების გამო

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ჩეხოსლოვაკური გაზეთი „ნოვე ჩესკოსლოვენსკო“ 15 იანვარს მოწინავე სტატიაში სწერს:

„მიკოლაიჩიკ-სოსნკოვსკის მთავრობა, უეჭველია, მოკავშირეთა ბანაკში ერთადერთი მთავრობაა, რომელსაც არ ახარებს გერმანელებზე წითელი არმიის გამარჯვებანი. 6 იანვარს პოლონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, მეორე დღეს რადიოთი გამოვიდა მიკოლაიჩიკი. როგორც ამ განცხადებებიდან სჩანს, პოლონეთის მთავრობას სურს, რომ მოკავშირეებმა ყველაფერს მიანებონ თავი და პირველ რიგში ყურადღება მიაქციონ პოლონელი პანების ტერიტორიულ პრეტენზიებს. პოლონელი ხელმძღვანელების აზრით, პოლონელი ხალხი არ უნდა სთვლიდეს წითელ არმიას მოკავშირე განმათავისუფლებელ არმიად და არ უნდა თანამშრომლობდეს მასთან, ვიდრე დიპლომატიური ურთიერთობა არ იქნება აღდგენილი და ელჩები არ იქნებიან დანიშნული. დღემდე არ არის გაუქმებული სოსნკოვსკის დირექტივა, რის თანასწორადაც ჭოლონეთში მყოფმა მისმა მომხრეებმა უნდა ეძიტონ პოლონელი პატრიოტები, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწევიან გერმანელთა წინააღმდეგ. არ შეიძლება უფრო უბადრუკ როლში წარმოიდგინო მთავრობა. მას რომ მოეხერხებინა და მიეღწია იმისათვის, რაც სურს, მოხდებოდა შემდეგი: მოკავშირეთა შორის ასტყდებოდა დავა საზღვრების შესახებ, რაც მხოლოდ გერმანელებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი, პოლონელ ხალხს ხუთგზა უნდა შეეტანა წითელი არმიისათვის, პოლონელ პარტიზანებსა და მიკოლაიჩიკ-სოსნკოვსკის ომიმხრეთა შორის სამოქალაქო ომი დაიწყებოდა. განა გერმანელებს შეუძლიათ ისურვონ უკეთესი გამოსავალი კრიტიკული მდგომარეობიდან?“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, საბჭოთა მთავრობის განცხადება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების საკითხის გადაწყვეტის საფუძველი იქნებაო, და განაგრძობს: „მიკოლაიჩიკის მთავრობის ცდა—გაავლებოს ამ საკითხის გარშემო ანტისაბჭოთა ტენდენციის ნაღმებს მოწინააღმდეგის წყლები. ყველა ამ ოპერაციიდან თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა 38 თვითმფრინავი.

სანაპირო ავიაციამ გუშინ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის გემებზე ნორვეგიის სანაპიროსთან. მტრის საშუალო ოდენობის ორ საჯაჭრო გემს ტორპედები მოხვდა. დაზიანებულია აგრეთვე რამდენიმე საბალრაგო ხომალდი.

გერმანიის თვითმფრინავებმა 14 იანვარს ღამით ბომბები ჩამოყარეს ლონდონის რაიონში. მოხდა ნგრევა და არის მსხვერპლი.

საომარი მოქმედება ივალიაში

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ფრანგთა ნაწილების წინსვლა გრძელდება. დაკავებულია კიდევ სამი მაღლობი და დასახლებული პუნქტი აკვაფონდატა. მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოგერიებულია, ინგლისის არტილერია აქტიობა, იჩენდა მთელს ფრონტზე.

მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთმა, რომელსაც თან ახლდნენ ავიაგამანადგურებლები, გუშინ კონცენტრირებული თავდასხმა მოახდინა გერმანიის ოკუპირებულ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, ბოლონიაზე, ფერარაზე, ბოლზანოზე, ინსბრუკ